დასკვნა:**დ05. 3723328001**
თარიღი:**24/11/2023**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი და დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი (შემდგომში ,,პროექტი“), მასზედ თანდართული ინფორმაციული და სხვა სათანადო მასალების ნუსხა, სრულად აკმაყოფილებს საბიუჯეტო კოდექსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნებს.

2. პროექტის სტრუქტურა შესაბამისობაშია პროგრამულ ფორმატში ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიასთან. პროექტი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია საკრებულოში შემოსულია მოქმედი კანონმდებლობისა და საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

3. პროექტის მიმართ კომისიის სხდომაზე დაფიქსირდა შენიშვნები, კერძოდ კი:

- მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის პროექტში ასახული ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები წინა საანგარიშო წლებთან მიმართებით პროგრესირებადია, საბიუჯეტო ასიგნებანი პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მშენებლობა და ექსპლუატაცია“ უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს იყო განსაზღვრული მიმდინარე წლის შესაბამისი პერიოდისთვის. ბიუჯეტის კორექტირების პროცესში აღნიშნული ფაქტი, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა დაზუსტდეს.

- პროექტის პრიორიტეტებით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელების ლოგაციები დასაზუსტებელია. სერიოზულ გადამუშავებას ექვემდებარება პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის ასახვის შესაბამისი პუნქტები.

- პროექტი უფრო მეტად უნდა იყოს გამჭვირვალე, მისაღები და გასაგები მოქალაქეებისათვის.

კომისიის სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილება 2024 წლის საბიუჯეტო განაცხადის მერისთვის დაბრუნების შესახებ.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი